პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 10 აგვისტო, 1946 წ. № 160 (7683). ფასი 20 კაპ.

საქართველოს სოფლის მეურნეობა მეოთხე ხუთწლედში

ბუშინწინ დაამთავრა მუშაობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესიამ, რომელმაც მიიღო კანონი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ, დაამტკიცა რესპუბლიკის 1945 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, 1946 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი.

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში უაღრესად პასუხსაგები ამოცანებია დასახული საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე: ყოველმხრივ უნდა ამაღლდეს მოსავლიანობა, მიღწეულ იქნას მოსავლისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის სერიოზული გადიდება.

როგორი იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სახე ახალ ხუთწლედში?

1950 წელს ნათეს კულტურათა საერთო ფართობი მიაღწევს 937 ათას ჰექტარს. ხუთწლედის მანძილზე გაშენდება 6 ათასი ჰექტარი ჩაის ახალი პლანტაციები, 11 ათასი ჰექტარი [illegible]

[illegible] ...ნებული პლანტაციების მოვლის გადაჭრით გაუმჯობესებას, ყინვაგამძლე და მაღალხარისხოვან ციტრუსოვან კულტურათა ჯიშების გამოყვანას, მათ ფართოდ გავრცელებას.

დიდი **სტალინის** უახლოესმა თანამებრძოლმა, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩე[illegible] ...ნილმა მოღვაწემ ამხანაგმა ლ. პ. ბერიამ [illegible]

[illegible] ...ციების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ მასების მზარდ საწარმოო აქტივობას, უზრუნველჰყონ შეჯიბრების საჯაროობა, საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე მეოთხე სტალინური ხუთწლედით დასახული გრანდიოზული ამოცანების ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შესრულება.

საქართველო კვლავ პირველ ადგილზეა დამზადებათა გეგმების შესრულებაში

საქართველომ წარმატებით შეასრულა სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების 1946 წლის მეორე კვარტალის გეგმები.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროსაგან მიღებულია დეპეშა, რომლითაც იტყობინებიან, რომ „პროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოს და სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს მიმდინარე წლის 2 აგვისტოს დადგენილებით სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებულის სამმართველოს კოლექტივს საქართველოს სს რესპუბლიკაში მიენიჭა პირველი ჯილდო 40.000 მანეთის რაოდენობით“.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმების წარმატებით შესრულებისათვის საქართველოს სს რესპუბლიკას მერვედ ენიჭება პირველობა საბჭოთა კავშირში.

პარიზის საზავო კონფერენციაზე

პარიზი, 8 აგვისტო. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს პარიზის საზავო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე დაიწყო პროცედურის წესების განხილვა. პირველი გამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაური ვ. მ. მოლოტოვი.

ვ. მ. მოლოტოვის სიტყვა

ბატონო თავმჯდომარევ, ბატონო დელეგატებო!

საბჭოთა დელეგაცია ეთანხმება კომისიის მიერ წარმოდგენილ პროცედურის წესების პროექტს, გარდა ერთი პუნქტისა. საბჭოთა დელეგაცია არ ეთანხმება კომისიის იმ გადაწყვეტილებას, რომ კონფერენციამ თავისი რეკომენდაციები მიიღოს ხმის უბრალო უმრავლესობით და არა ხმის ორი მესამედის უმრავლესობით, როგორც წინადადებას იძლეოდა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო. საბჭოთა დელეგაცია ვერ დაეთანხმება იმას, რომ კონფერენციაზე რაიმე რეკომენდაცია მიღებულ იქნას ერთი ხმის უმეტესობით, რომ თერთმეტმა დელეგაციამ თავს მოახვიოს თავისი წინადადებანი ათ სხვა დელეგაციას. ასეთ გადაწყვეტილებას საბჭოთა დელეგაცია მცდარად სთვლის და მტკიცედ მოითხოვს კომისიის ამ მცდარი გადაწყვეტილების გადასინჯვას.

1. საერთაშორისო წესების დარღვევა

საერთაშორისო კონფერენციაზე კენჭისყრის წესი ფრიად დიდმნიშვნელოვანი საკითხია. კონფერენციამ თავისი აზრი უნდა გამოსთქვას ბევრ სერიოზულ საკითხზე. არ შეიძლება დავუშვათ, რომ ეს საკითხები ერთი [illegible]

საერთაშორისო კონფერენციების ნორმალური წესები ცნობილია. მიღებულია მივისწრაფოდეთ იქითკენ, რომ ასეთ კონფერენციებზე მიღწეულ იქნას ერთსულოვნება, თუნდაც ამისათვის საჭირო იყოს საკმაოდ [illegible]

[illegible] ...გაგვიტაცოს ზოგიერთი პოლიტიკამ ან დელეგაციათა ერთი ნაწილის მხრივ დელეგაციათა მეორე ნაწილის მიმართ ხმების მაიორიზების ხერხებმა.

[illegible] ...მარჯვებამდე და რომლებიც ახლა მოთმინებით მოელიან, შეგვწევს თუ არა ჩვენ უნარი ვიბრძოლოთ მტკიცე მშვიდობის დასამყარებლად.

2. პროცედურის საკითხთა კომისიის შეცდომები

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ საზავო კონფერენციას წარმოუდგინა თავისი წინადადება კონფერენციის პლენუმზე და კომისიებში კენჭისყრის წესის შესახებ. რაც შეეხება კონფერენციის პლენუმზე კენჭისყრას, ეს წინადადება შემდეგში მდგომარეობდა:

„კონფერენციის გადაწყვეტილებანი პროცედურის საკითხებზე მიღებულ იქნება ხმის უმრავლესობით. გადა[illegible]

[illegible] ...მარისია, რომ 21 დელეგაციიდან 11 დელეგაციამ მხარი დაუჭიროს ამათუიმ წინადადებას, და ეს წინადადება კონფერენციის რეკომენდაციად იქცევა, თუნდაც, რომ ათი სხვა დელეგაცია ამის წინააღმდეგი იყოს. ამრიგად, აქ დამსწრე 21 დელეგაციიდან ერთს შეუძლია ამათუიმ წინადადებას მთელი კონფერენციის რეკომენდაციის ხასიათი მისცეს. და თითქოს ამგვარ რეკომენდაციებს შეიძლება [illegible]

[illegible] ...ამისა, კონფერენციაზე როგორც ერთმა, ისე მეორე დელეგაციამ უარი სთქვა ამ შეთანხმებულ გადაწყვეტილებაზე და კვლავ დაუბრუნდა თავის თავდაპირველ წინადადებას კონფერენციის რეკომენდაციებისათვის უბრალო უმრავლესობით კენჭისყრის შესახებ.

3. აუცილებელია გამოვასწოროთ შეცდომა

მიუხედავად ამისა, საბჭოთა დელეგაცია ფიქრობს, საზავო კონფერენცია იმისთვის როდია განკუთვნილი, რომ ამათუიმ სახელმწიფომ, ან სახელმწიფოთა ამათუიმ ბლოკმა აჯობოს სსრ კავშირს ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს. უფრო მეტიც, არ შეიძლება, რომ საზავო კონფერენციაზე [illegible]

პარიზის საზავო კონფერენციაზე

8 აგვისტოს პარიზის საზავო კონფერენციის პლენარულ სხდომაზე, საბჭოთა დელეგაციის მეთაურის ვ. მ. მოლოტოვის სიტყვის შემდეგ გამოვიდა ავსტრალიის წარმომადგენელი ევატი, რომელიც იცავდა პროცედურის საკითხთა კომისიის მიერ მიღებულ წინადადებას უბრალო უმრავლესობით კენჭისყრის შესახებ. თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ევატმა მიუძღვნა პროცედურის საკითხთა კომისიაში თავისი პოზიციის გამართლებასა და საბჭოთა დელეგაციის პოზიციაზე თავდასხმებს.

აღსანიშნავია, რომ კონფერენციის დღევანდელი პლენარული სხდომის გახსნის წინ პრესის წარმომადგენლებს დაურიგეს ევატის წერილობითი განცხადება. ამ განცხადებაში ევატი მის თვის ჩვეული დემაგოგიური უტიფრობით „ოპოზიციას" უწოდებდა იმ დელეგატებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წინადადებას. ევატი გულახდილად აღიარებდა, რომ თუმცა პროცედურის საკითხთა კომისიას ჰქონდა ახალი ხელშეკრულების წესი უბრალო უმრავლესობით კენჭისყრის შესახებ, მაგრამ ბრიტანეთის შესწორება, რომელიც კომისიამ „პრინციპულად" მიიღო, პირველისგან არაფრით განსხვავდება.

ევატმა თავი აარიდა იმას, რომ გაემეორებინა თავის სიტყვაში ეს განცხადება, რომელიც წინასწარ იყო შედგენილი და კორესპონდენტებს დაურიგდა, რადგან, როგორც ჩანს, სავსებით დარწმუნებული იყო, რომ პლენუმი უკამათოდ დაამტკიცებდა პროცედურის საკითხთა კომისიის წინადადებას.

იუგოსლავიის დელეგაციის მეთაურის ბ-ნ კარდელის გამოსვლა

იუგოსლავიის დელეგაციის ხელმძღვანელმა კარდელმა დელეგაციის სახელით განაცხადა, რომ მან საპროცედურო კომისიის მიერ მიღებული კენჭისყრის წესი მავნედ მიაჩნია კონფერენციის მომავალი მუშაობისათვის და იმ ღონისძიებათათვის, რომლებიც გაწეულ უნდა იქნას კონფერენციაზე საჭირო თანხმობისა და ერთსულოვნების მისაღწევად. იუგოსლავიის დელეგაცია თავიდანვე ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საზავო კონფერენციაზე სწორედ ასეთი სულისკვეთება უნდა მეფობდეს. ხოლო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხელს არ უწყობს იმას, რომ კონფერენციაზე თანხმობისა და ერთსულოვნების ვითარება შეიქმნას, არამედ, პირიქით, ჰქმნის იმის ტენდენციას, რომ კონფერენცია გადაიქცეს ფუჭ ფორმალობად, რომლის საშუალებითაც ერთი რიგი სახელმწიფოები თავს მოახვევენ თავიანთ ნებას სხვა სახელმწიფოებს. ასეთია მიზეზი, რომლის საფუძველზეც იუგოსლავიის დელეგაცია სთვლის, რომ კომისიის მიერ მიღებული კენჭისყრის წესი ცუდია, უხერხულია და ვერ დაგვეხმარება ისეთ დიდ საქმეში, როგორიც არის მშვიდობის დამყარება. საერთაშორისო კონფერენციებსა და კონგრესებზე, განაცხადა კარდელმა, ყოველთვის მოქმედებდა ერთხმივობის წესი, რომელიც საერთაშორისო შეთანხმებათა ძირითად პრინ-

იუგოსლავიის თანხმობა კონფერენციის მიერ გადაწყვეტილებათა კვალიფიციური უმრავლესობით მიღებაზე არ შეიძლება განმარტებულ იქნას იმ აზრით, რომ ეს თანხმობა მისი საზღვრების დაწესების საკითხებსაც ეხება. მით უფრო ნაკლებად შეუძლია მას დაეთანხმოს პროცედურას, რომლის საფუძველზეც გადაწყვეტილებანი ყველა ამ საკითხზე უბრალო უმრავლესობით მიიღება. იუგოსლავიის დელეგაციის აზრით, კონფერენციის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რეკომენდაციების გამომუშავებით მომზადოს ზავის ერთობლივად დადება. აქედან ცხადია, რომ კონფერენციას უფლება არა აქვს თავს მოახვიოს კონფერენციის წევრებს ისეთი პროცედურა, რომელსაც ისინი ყველანი არ ეთანხმებიან.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებს გასცდა, როცა გადაწყვეტილება მიიღო რამდენიმე სუვერენული სახელმწიფოს ნების წინააღმდეგ. ამით მან კითხვის ქვეშ დააყენა თავის გადაწყვეტილებათა სრულფასოვნება. მის მიერ რეკომენდებული პროცედურა ფორმალურ შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოთა ერთ ჯგუფს ყველა შემთხვევაში თავს მოახვიოს თავისი ნება სხვა სახელმწიფოებს. გასაგებია, რომ ამგვარად, კომისიის წინადადების მიღების შემთხვევაში, ეს კონფერენცია სავსებით დაჰკარგავს საზავო

იუგოსლავიის ფეხბურთელები თბილისში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის დეპუტატ ვ. ი. ეგნატაშვილის მოსხენება

ამხანაგო დეპუტატებო! 1946 წლის 15 მარტს საბჭოთა კავშირის მეორე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველმა სესიამ მიიღო კანონი საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მინისტრთა საბჭოდ გარდაქმნისა და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოების — მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნის შესახებ.

თავისი წინადადება ამ ცვლილების შესახებ დეპუტატმა ნიკოლოზ მიხეილის-ძე შვერნიკმა ასე დაასაბუთა:

„სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი აღმასრულებელი და განმკარგულებელი ორგანოს ახლანდელი სახელწოდება — სახალხო კომისართა საბჭო და სახელმწიფო მართვა-გამგეობის დარგების ხელმძღვანელი ცენტრალური ორგანოების სახელწოდება — სახალხო კომისარიატები, — წარმოიშვა საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ პერიოდში, რომელიც დაკავშირებული იყო ძველი სახელმწიფო მანქანის ძირფესვიან მსხვრევასა და სახელმწიფო ცხოვრების ახალი, საბჭოთა ფორმების დამყარებასთან. ეს იყო საბჭოთა სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პერიოდი, როცა მართვა-გამგეობის ორგანიზაციის ფორმებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ურყევი გამოკვეთილობა და ისინი იყო იქმნებოდნენ. მაგრამ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ორგანოები უცვლელი როდი რჩებოდნენ;

ასსრ სახალხო კომისართა საბჭოების აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებად გარდაქმნის შესახებ".

2. შეტანილ იქნას საჭირო ცვლილება საქართველოს სსრ კონსტიტუციის სათანადო მუხლებში".

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგულად თავდასხმამ დაარღვია ჩვენი სამშობლოს მშვიდობიანი სამშენებლო მუშაობა, შესწყვიტა სახალხო მეურნეობის საყოველთაო აღმავლობა და სსრ კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა.

ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა დიდი მხედართმთავრისა და ხალხთა ბელადის **სტალინის** ხელმძღვანელობით სამამულო ომი უმაგალითო ბრწყინვალე გამარჯვებით დაამთავრეს. მაგრამ გასაგები მიზეზის გამო, ეს გამარჯვება დიდი მსხვერპლის ფასად დაგვიჯდა. გერმანელმა ოკუპანტებმა ჩვენს ქვეყანას უდიდესი ზარალი მიაყენეს.

საბჭოთა კავშირმა ლოდინი არ დაუწყო ომის დამთავრებას და ჯერ კიდევ ფრონტებზე ბრძოლის დროს წარმატებით შეუდგა დანგრეული მეურნეობის აღდგენას გერმანელებისაგან განთავისუფლებულ რაიონებში.

მშვიდობიანობის დამყარების შემდეგ მან გააცხოველა მუშაობა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის სამეურნეო ცხოვრების განმსაზღვრელ და წარმმართველ სახელმწიფო საპერს-

საკვები და საძოვარი, ფრინველი, წვრილფეხა საქონელი, სპეციალური სასწავლებლები და მრავალი სხვა უნდა გადაიქცეს ახალი სამინისტროს დაუცხრომელი მუშაობისა, ხელმძღვანელობისა და მზრუნველობის საგნად.

„საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კინემატოგრაფიის საქმეთა სამმართველოს საქართველოს სსრ კინემატოგრაფიის სამინისტროდ გარდაქმნის შესახებ".

2. შეტანილ იქნას სათანადო დამატება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 და 55 მუხლებში".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს X სესია

კამათი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ მოხსენების გამო

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის ამხ. ზ. ნ. კეცხოველის სიტყვა

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს X სესიის განსახილველად წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების ხუთწლიანი გეგმა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დარგს წარმოადგენს კვებისა და საგემოვნო მრეწველობა.

კვების მრეწველობის ტრესტებისა და საწარმოთა უმეტესობა ცუდად როდი მუშაობს მეოთხე სტალინური ხუთწლედის პირველ წელს. საერთო პროდუქციის მხრივ 1946 წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულებულია 112,9 პროცენტით. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ ყველა საწარმო გამართულად მუშაობს. არის მთელი რიგი საწარმოები, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ.

ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია კვების პროდუქციის გამოშვების საგრძნობი გადიდება 1945 წელთან შედარებით. 1950 წელს პური გამოცხობილ იქნება 60 პროცენტით მეტი; საშაქარლამო ნაწარმის გამოშვება იზრდება ერთისამად, ზეთის—ერთიორად, სარეცხი საპნისა—ორნახევარჯერ, პაპიროსისა—ერთიორად, ჩაისა—თითქმის ერთისამად, ღვინისა ერთიორად და უფრო მეტად, მინერალური წყლებისა—შვიდჯერ და უფრო მეტად.

კვების პროდუქციის დიდი ნაწილის წარმოების ომამდელი დონე უკვე 1947 წელს იქნება მიღწეული, ხოლო მთლიანად—1948 წელს. ამასთან უმჯობესდება გამოსაშვები პროდუქციის ხარისხი. მაგრამ გეგმის რაოდენობით, თუნდაც ასორტიმენტით შესრულება საკმარისი როდია. პროდუქციის გამოშვების გადიდებასთან ერთად საჭიროა თვითღირებულების შემცირება, თვითეული საწარმოს რენტაბელური მუშაობა. სახელმწიფო საწარმოთა შემოსავლის გადიდება და სახელმწიფო ბიუჯეტის განმტკიცება აუცილებელი პირობაა ახალი ხუთწლიანი გეგმის შესასრულებლად.

ამიტომ საჭიროა საწარმოთა ხელმძღვანელები ღრმად ჩასწვდნენ წარმოების ეკონომიკას, გამოძებნონ გზები გეგმიანი დანაკარგების შემცირებისათვის, ყოველ შემთხვევაში, არ დაუშვან გეგმის გადამეტებით დანაკარგები.

მინდა მოვიყვანო ამ მხრივ ცუდი მუშაობის ერთ-ერთი მაგალითი. თბილისის № 3 ლუდის ქარხანა (დირექტორი მახარაძე) წარმოების გეგმას მთლიანად ასრულებს. თითქოს ყველაფერი რიგზეა. მაგრამ შემოწმების დროს აღმოჩნდა 43 ტონა ქერის დანაკლისი და 23 ტონის გადახარჯვა. ცხადია, ეს ყოვლად დაუშვებელია.

მრეწველობის მუშაკებში მეტად უნდა განმტკიცდეს სახელმწიფო დისციპლინა, გაძლიერდეს კონტროლი, ალიკვეთოს ცუდი მუშაობის შემთხვევები.

ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობაში ჩაისა და მევენახეობის წარმოებას დიდი ხვედრითი წონა უჭირავს.

1950 წელს ჩაის მრეწველობამ უნდა მოგვცეს 17.900 ტონა პირველადი დამუშავების ჩაი. აქედან 14.200 ტონა ბაიხის ჩაი და 3.700 ტონა ლაო-ჩაი, რისთვისაც საჭიროა 60.000 ტონა ხარისხოვანი და 10.000 ტონა უხეში მწვანე ჩაის ფოთოლი.

საგრძნობლად გაუმჯობესდება ჩაის ხარისხი. 1950 წელს გამოშვებულ იქნება 14.200 ტონა ჩაი, აქედან ხარისხობრივი 13.500 ტონა, ე. ი. სამჯერ მეტი, ვიდრე 1944 წელს.

საგრძნობლად გადიდდება უმაღლესი ხარისხის ჩაის ხვედრითი წონა.

1944 წელს „საქართველოს თაიგული" სრულიად არ ყოფილა გამოშვებული, ხოლო „ექსტრა" და უმაღლესი ხარისხის ჩაი გამოშვებულ იქნა მხოლოდ 156 ტონა. 1950 წელს „საქართველოს თაიგული", „ექსტრა" და უმაღლესი ხარისხის ჩაი გამოშვებულ იქნება 810 ტონა, ე. ი. ხუთჯერ უფრო მეტი.

საკავშირო მთავრობა უდიდეს ყურადღებას აქცევს ჩაის კულტურის განვითარებას. მიმდინარე წელს ჩაის პლანტაციებში შეტანილია ათასობით ტონა სასუქი. ყოველწლიურად მინერალური სასუქების შეტანა და გაძლიერებული მოვლა შესაძლებლობას მოგვცემს მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მოსაკრეფი ფოთლის ხარისხი. ჩაის ფოთლის დროული და განუწყვეტელი კრეფა უზრუნველჰყოფს პირველხარისხოვანი ჩაის გამოშვებას.

ბევრი რაიონი უკვე მიმდინარე წელს თითქმის მთლიანად გადავიდა პირველი ხარისხის ჩაის კრეფაზე. ეს ტრადიციად უნდა გადაიქცეს ჩვენი კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისათვის.

1950 წლისათვის ღვინის გამოშვება გათვალისწინებულია 1.550.000 დეკალიტრის რაოდენობით რესპუბლიკური და ადგილობრივი მრეწველობის ხაზით. გარდა ამისა, შამპანური ღვინოების კომბინატი გამოუშვებს 160.000 დეკალიტრ სუფრის ღვინოს და 4 მილიონ ბოთლ შამპანურს, რაც 320.000 დეკალიტრ ღვინოს უდრის. ამრიგად, სულ გამოშვებულ იქნება 2.030.000 დეკალიტრი ღვინო.

უკანასკნელ ხანებში ჩვენი ღვინის მწარმოებელი ორგანიზაციები და განსაკუთრებით სამტრესტი ძალიან გატაცებული იყვნენ ახალი მარკის ღვინოების გამოშვებით ამას წინათ მოგვეცეს საჭირო მითითება და ჩვენც დავსახეთ ღვინის წარმოების ახალი გეგმა:

1. გადიდდება ევროპული წესით დასამზადებელი არსებული მარკის ღვინოების, განსაკუთრებით „წინანდლის", „ნაფარეულის", „მუკუზნის", „მწვანის", „თელიანის", „გურჯაანის" წარმოება.

2. გათვალისწინებულია კახური, იმერული, რაჭული წესით დასამზადებელი ადგილობრივი ღვინოების წარმოების საგრძნობი გადიდება, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მათი ხარისხის გაუმჯობესების საქმეში.

3. შამპანური ღვინოების კომბინატმა უნდა გააუმჯობესოს მუშაობა ქართლის ღვინოების წარმოების მხრივ და უახლოეს წლებში მოაწყოს „ატენურის", „მუხრანულის", „გორული-მწვანის" გამოშვება 20-30.000 დეკალიტრის რაოდენობით.

4. სამტრესტმა და შამპანური ღვინოების კომბინატმა უნდა გამოუშვას იმერული წესით დამზადებული ღვინოები. საჭიროა სამტრესტმა დაამზადოს „ცოლიკაური", ხოლო შამპანური ღვინოების კომბინატმა „სვირული" და „იმერული თეთრი".

მეოთხე სტალინურ ხუთწლედში დიდი და სერიოზული ამოცანებია დასახული კვების მრეწველობის წინაშე კაპიტალური მშენებლობის განხორციელების საქმეში. გეგმა ითვალისწინებს 82 მილიონ მანეთს სალიმიტო დაბანდებათა ხაზით და 80 მილიონ მანეთს მევენახეობისა და ლუდსახდელი მრეწველობის ანარიცხების ანგარიშში. ამრიგად, მეოთხე სტალინური ხუთწლედის განმავლობაში საქართველოს კვების მრეწველობამ კაპიტალურ მშენებლობაში უნდა დააბანდოს 162 მილიონი მანეთი.

ჩაის მრეწველობის კაპიტალურ მშენებლობაში გათვალისწინებულია 48 მილიონი მანეთის დაბანდება. ხუთწლედის მანძილზე აშენდება 8 ჩაის ფაბრიკა: საჯიჯაოში 1 მილიონი კილოგრამი ფოთლის სიმძლავრისა, აჭყვაში, მერიაში, ინგირში, ლელვაში, ბახვში, კოჩარასა და ზედაეწერში (ზუგდიდის რაიონი), თვითეული ორი მილიონი კილოგრამი ჩაის ფოთლის სიმძლავრისა.

ღვინის მრეწველობის ხაზით დასახულია ავჭალის კონიაკის კომბინატის მშენებლობა 500 ათასი დეკალიტრის წლიური სიმძლავრით; მას ექნება ღვინის, კონიაკისა და არაყის ნაწარმის დამუშავების, შენახვისა და ჩამოსხმის საამქროები.

დამთავრდება წინანდლის მარნისა და გურჯაანის ღვინის ქარხნის მეორე რიგის მშენებლობა, მარნები—ვაქირში, ტიბაანსა და ანაგაში, იყალთოში, ზეინდარსა და ვანში—160 ათასი დეკალიტრის საერთო სიმძლავრით. გათვალისწინებულია მარნების მშენებლობის დაწყება და დამთავრება შრომაში, ველისციხეში, ობჩაში, სიმონეთში, ბახვში, მანავში 325 ათასი დეკალიტრის საერთო სიმძლავრით.

საკუთარი ბაზის გასაფართოებლად და მაღალხარისხოვანი ღვინის გამოშვების გასადიდებლად თელიანში გაშენდება საბჭოთა მეურნეობა 200 ჰექტარზე. ქალაქ თბილისის მახლობლად ეწყობა ახალი საბჭოთა მეურნეობა „დიღომი", სადაც 100 ჰექტარზე გაშენდება სუფრის ყურძნის ვაზის ჯიშები. გადიდდება აგრეთვე ვენახის ნარგავები არსებულ საბჭოთა მეურნეობებში—ხირსაში, კარდანახში, მუკუზანში, მანავსა და ბახვში (ჩხავერის ჯიში).

მევენახეობის მრეწველობის ხაზით მშენებლობას აწარმოებს აგრეთვე შამპანური კომბინატი. დამთავრდება თბილისის შამპანური ღვინოების ქარხნის მშენებლობა. დაიწყება ზესტაფონის სუფრის ღვინოების ქარხნის აგება, აგრეთვე მარნების მშენებლობა ქართლის რაიონებში, ზესტაფონში, ორჯონიკიძესა და საჩხერეში 500 ათის დეკალიტრზე მეტი საერთო სიმძლავრით.

მსხვილი მშენებლობა გათვალისწინებულია აგრეთვე კვების მრეწველობის სხვა დარგებში. განზრახულია საშაქარლამო კომბინატის აგება თბილისში 12 ათასი ტონა პროდუქციის წლიური სიმძლავრით. აშენდება პურის ქარხნები ბათუმში, ქუთაისში, გორში, ფოთსა და თბილისში. დამთავრდება ხილის სიროფებისა და ლიმონათის ქარხნის მშენებლობა თბილისში, ლუდსახდელი ქარხნის მშენებლობა ქალაქ ბათუმში 50.000 დეკალიტრის სიმძლავრით. აიგება ლუდსახდელი ქარხნები 10.000 დეკალიტრის სიმძლავრით ქუთაისში, სტალინირში, ტყვარჩელსა და ტყიბულში. ვალე და-

დეპუტატ კ. გ. ქიქინაძის სიტყვა

კომუნისტი

შაბათი, 10 აგვისტო, 1946 წ. № 160 (7683)

მთავარ გერმანელ სამხედრო დამნაშავეთა პროცესი ნიურნბერგში

სსრ კავშირისაგან მთავარი ბრალმდებლის ამხ. რ. ა. რუდენკოს საბოლოო სიტყვა *

შტრაიხერი

მიუხედავად იმისა, რომ ომის წლებში ბრალდებულ იულიუს შტრაიხერს ფორმალურად არ ეკავა მკვლელობათა და მასობრივად სიკვდილით დასჯის განხორციელებასთან უშუალოდ დაკავშირებული თანამდებობანი, ძნელია გადაჭარბებულად დავახასიათოთ ამ ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულობანი.

ჰიმლერთან, კალტენბრუნერთან, პოლთან და ყველა იმათთან ერთად, ვინც გეგმავდა, აწყობდა და ამოქმედებდა გაზიან კამერებსა და „დუშეგუბკებს", მათთან ერთად, ვინც უშუალოდ ახორციელებდა მასობრივ „აქციებს", შტრაიხერმა პასუხი უნდა აგოს გერმანიის ფაშიზმის ყველაზე სასტიკი დანაშაულობებისათვის.

ეროვნული და რასობრივი შუღლის გაღვივება, ავადმყოფური სისასტიკის ჩანერგვა და მოწოდება მკვლელობისაკენ—ყოველივე ეს ამ ადამიანის არა მარტო მრავალი წლის პარტიულ მოვალეობას, არამედ შემოსავლიან სპეციალობასაც წარმოადგენდა.

და შემთხვევითი როდია, რომ ასე დიდად შეაფასა „შტიურმერის" და მისი მთავარი რედაქტორის დამსახურება ჰიმლერმა თავის, სასამართლოსათვის უკვე ცნობილ, მისალმებაში შტრაიხერისადმი, რაც დათარიღებულია 1937 წლის აპრილით.

შტრაიხერი შეიძლება ჩაითვალოს იმათ ნამდვილ „სულიერ მამად", ვინც ბავშვებს წამებით ხოცავდა ტრებლინკაში. „უშტიურმეროდ" და უმისრედაქტოროდ გერმანიის ფაშიზმი ასე სწრაფად ვერ აღზრდიდა მკვლელთა იმ მასობრივ კადრებს, რომლებმაც უშუალოდ განახორციელეს ჰიტლერისა და მისი ხროვის დანაშაულებრივი გეგმები, მოსპეს რა ევროპაში ექვს მილიონზე მეტი ებრაელი.

მრავალი წლის განმავლობაში შტრაიხერი სულიერად ხრწნიდა გერმანიის ბავშვებსა და ახალგაზრდობას. სასამართლოში წარმოდგენილია „შტიურმერის" საძაგელი „საბავშვო გამოცემანი". ამიტომ ბალდურ ფონ შირახთან ერთად შტრაიხერმა პასუხი უნდა აგოს იმისათვის, რომ მის მიერ მორალურად გახრწნილი „ჰიტლერიუგენდი" ნიშანში სასროლად იყენებდა ლვოვის გეტოდან წაყვანილ ებრაელ ბავშვებს. შემთხვევითი როდია, რომ ფონ შირახი ასე დიდად აფასებდა შტრაიხერის „ისტორიულ დამსახურებას".

ურჯულო „ნიურნბერგის კანონები" ამ „№ 1 იუდოფობისათვის", როგორც ის თავისთავს უწოდებდა, და ებრაელების პირველ რბევათა ორგანიზატორისათვის მხოლოდ „ბრძოლის დასაწყისი" იყო. როგორც სასამართლოს ეხსომება, ამ კანონების გამოცემის შემდეგ შტრაიხერი, მოუწოდებდა რა ევროპის ებრაელთა ფიზიკური გაჟლეტისაკენ, სწერდა: „ეს პრობლემა მხოლოდ მაშინ გადაიჭრება, როცა მოისპობა მსოფლიოს ებრაელობა".

მე არ დავუბრუნდები აგრეთვე „შტიურმერის" იმ ცრუ და სამარცხვინო „რიტუალურ ნომრებს", რომლებსაც „სს"-ელნი უნდა წაექეზებინათ მილიონობით უმწეო ადამიანის დასახოცავად და გაემართლებინათ ყოველგვარი მხეცობა ებრაელთა მიმართ. შტრაიხერის დამნაშავეობის ეს დამამტკიცებელი საბუთები, რაც სხვა საბუთებთან ერთად წარმოდგენილია სასამართლოში, საყოველთაოდ ცნობილი და უდავოა. 1939 წელს ის მაიდანეკითა და ტრებლინკით წინასწარ სტკბებოდა და სწერდა: „შესაძლებელია მხოლოდ ებრაელთა საფლავებმა სთქვან, რომ ისინი ევროპაში არსებობდნენო".

1943 წელს, როცა ტრებლინკისა და ოსვენციმის გაზიან კამერებში უკვე მიჰყავდათ მილიონობით მსხვერპლი, „შტიურმერში" გამოქვეყნდა გეტოს ლიკვიდაციის წამაქეზებელი სტატიები, სიცრუითა და ნიშნისგებით აღსავსე სტატიები, და, ბოლოს, შტიურმერმა სადისტური კმაყოფილებით დაადასტურა: „ევროპაში ებრაელები გაქრნენო".

შტრაიხერი მთელ თავის სიცოცხლეში სცრუობდა. იგი ცდილობდა სიცრუე ელაპარაკნა აქაც, გასამართლების დროს. მე არ ვიცი ჰქონდა თუ არა მას იმედი, რომ ამ სიცრუით ვინმეს მოატყუებდა თუ ჩვეულებით და შიშით სცრუობდა.

მაგრამ, მე მგონია, თვითონ ბრალდებულმა კარგად უნდა იცოდეს, რომ მისი უკანასკნელი სიცრუე ვერავის მოატყუებს და ვერ იხსნის მას.

შახტი

ბრალდებული ჰელმარ შახტი თვალსაჩინო როლს ასრულებდა ჰიტლერული შეთქმულების დანაშაულებრივი გეგმების მომზადებასა და განხორციელებაში, იგი ასრულებდა დიდ და რთულ სამუშაოს.

შახტის თავდასაცავი პოზიცია მეტისმეტად მარტივია.

თუ მას დავუჯერებთ, იგი ჰიტლერიზმს მიემხრო მხოლოდ-და-მხოლოდ პატრიოტული მოსაზრებით, იგი წინააღმდეგი იყო აგრესიული ომებისა, მაგრამ მხარს უჭერდა გერმანიის შეიარაღებას მშვიდობის დაცვის მიზნით. იგი მომხრე იყო იმისა, რომ გერმანიისათვის დაებრუნებინათ კოლონიები, რათა ევროპაში ეკონომიური წონასწორობა დამყარებულიყო.

როდესაც შახტი დარწმუნდა, რომ ჰიტლერული მთავრობის პოლიტიკა მიზნად ისახავს უაღრესად დიდ შეიარაღებას და, ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის გაჩაღებით იმუქრება, იგი ოპოზიციაში გადავიდა ჰიტლერისადმი, საბოტაჟს უწევდა ჰიტლერული მთავრობის ღონისძიებებს და ამის შედეგად, როგორც ჰიტლერის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწილე, რეპრესირებულ იქნა.

ბრალდებული შახტი ამჟამად ცდილობს თავისი აღფრთოვანებული წერილები ჰიტლერისადმი, რომლებიც აღსავსეა ერთგულების გამოხატულებით, წარმოგვიდგინოს, როგორც ჰიტლერული რეჟიმისადმი თავისი ნამდვილი ოპოზიციური განწყობილების შენიღბვის მეთოდი.

ნამდვილად კი შახტი უკვე 1929 წელს დაუახლოვდა ჰიტლერულ მოძრაობას. შახტი იხრებოდა ნაციონალ-სოციალისტებისაკენ, ხოლო ჰიტლერი და გერინგი ცდილობდნენ მოეპოვებინათ შახტის მხარდაჭერა, რომელსაც ფართო ურთიერთობა ჰქონდა გერმანიის სამრეწველო და საფინანსო წრეებში და შეეძლო სხვაზე მეტად გაეწია ჰიტლერიზმისათვის ფასდაუდებელი სამსახური და კიდევაც გაუწია.

უკვე 1932 წლის 29 აგვისტოს ჰიტლერისადმი თავის წერილში შახტი არწმუნებდა მას თავის ერთგულებაში.

ეს დარწმუნება ლიტონ სიტყვებად როდი დარჩენილა. სწორედ ბრალდებულმა შახტმა შეასრულა გადამწყვეტი როლი ჰიტლერის მიერ ხელისუფლების სათავეში ჩადგომის საქმეში. სწორედ იგი, შახტი, იყო ორგანიზატორი გერმანიის სამრეწველო წრეების მიმართვისა, რომლებიც მოითხოვდნენ რაიხსკანცლერად ჰიტლერის დანიშვნას.

სწორედ მან, შახტმა, ჯერ კიდევ 1932 წელს გერმანიის მაშინდელ რაიხსკანცლერ ფონ პაპენს განუცხადა — ჰიტლერს გადაეცით თქვენი პოსტიო. სწორედ მან, შახტმა, 1933 წელს რაიხსტაგის არჩევნების წინ მოაწყო მრეწველთა თათბირი, რომელზეც შეიქმნა საარჩევნო ფონდი ჰიტლერული პარტიისათვის რამდენიმე მილიონი მარკის რაოდენობით.

შახტის როლსა და მნიშვნელობას ჰიტლერული გერმანიის შექმნაში ახასიათებს ჰიტლერის უახლოესი თანამებრძოლი გებელსი. თავის დღიურში მან 1932 წლის 21 ნოემბერს ჩასწერა:

„დოქტორ შახტთან საუბარში დავრწმუნდი, რომ იგი სავსებით გამოხატავს ჩვენს თვალსაზრისს. იგი ერთ-ერთი არამრავალთაგანია, ვინც სავსებით ეთანხმება ფიურერის პოზიციას".

თვით ბრალდებულმა შახტმა თავის სიტყვაში საგაზაფხულო ბაზრობაზე ლაიფციგში 1935 წლის 4 მარტს ასე განსაზღვრა თავისი როლი ჰიტლერულ სახელმწიფოში:

„შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ყოველივეს, რასაც მე ვლაპარაკობ და ვაკეთებ, სავსებით ეთანხმება ფიურერი და რომ მე ისეთს არაფერს გავაკეთებ და ვილაპარაკებ, რასაც ფიურერი არ მოიწონებს. ამრიგად, ეკონომიური გონების მცველი ვარ არა მე, არამედ ფიურერი...".

ბრალდებულ შახტის დამსახურება, როგორც თვით შახტი მოელოდა, ღირსეულად იქნა დაფასებული ჰიტლერის მიერ. ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ 1933 წელს ჰიტლერმა მაშინვე დანიშნა შახტი რაიხსბანკის თავმჯდომარედ, ხოლო შემდეგ—ეკონომიკის მინისტრად და, ბოლოს, გენერალურ რწმუნებულად სამხედრო ეკონომიკის საკითხებში.

ბრალდების მასალებით და სასამართლო გამოძიებით დამტკიცებულია ბრალდებულ შახტის განსაკუთრებული როლი გერმანიის შეიარაღების მომზადებაში და ამით აგრესიული ომების გაჩაღებაში.

ყოფილმა სამხედრო მინისტრმა ბლომბერგმა თავის ჩვენებაში სთქვა, რომ 1937 წლისათვის შეიარაღებულ ძალთა განვითარების გეგმები თითქმის შესრულებული იყო და რომ შახტს ეცნობა ეს გეგმები და მათი დაფინანსების საჭიროება.

შახტი იყო ჰიტლერელთა დანაშაულებრივი გეგმების ერთ-ერთი ყველაზე თანმიმდევრული მომხრე. ამერიკის შეერთებული შტატების ელჩ ფულერთან საუბარში 1936 წლის 23 სექტემბერს შახტმა მას განუცხადა, რომ „...კოლონიები საჭიროა გერმანიისათვის. თუ შესაძლებელია, კოლონიებს ჩვენ შევიძენთ მოლაპარაკების გზით, ხოლო თუ არა— ჩვენ დავიპყრობთ მათ..."

ვენაში გამოსვლის დროს 1938 წლის მარტში შახტმა განაცხადა:

„მადლობა ღმერთს, ამას არ შეეძლო ხელი შეეშალა დიდი გერმანელი ხალხისათვის თავისი გზის განგრძობაში, იმიტომ, რომ ადოლფ ჰიტლერმა გააერთიანა გერმანიის ნება და გერმანიის აზრი. მან კვლავ განამტკიცა ეს გაძლიერებული შეიარაღებული ძალებით და, ბოლოსდაბოლოს, მან გარეგანი ფორმა მისცა გერმანიისა და ავსტრიის შინაგან ერთიანობას".

ბრალდებული შახტი აღჭურვილი იყო საგანგებო რწმუნებებით სამხედრო ეკონომიკის დარგში.

მთელი რიგი წლების განმავლობაში შახტი ერთდროულად იყო რაიხსბანკის თავმჯდომარე, ეკონომიკის მინისტრი და გენერალური რწმუნებული სამხედრო ეკონომიკის საკითხებში.

უკვე ამ თავისი მდგომარეობის გამო ბრალდებულმა შახტმა უდიდესი და გადამწყვეტი როლი შეასრულა ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ეკონომიკისა და შეიარაღებული ძალების შექმნასა და აღორძინებაში.

ბრალდებულ შახტის ეს როლი საკმაოდ არის გაშუქებული ჰიტლერის მრავალ ქების წერილში შახტისადმი.

სწორედ ბრალდებული შახტი იყო ავანტიურისტული მეთოდის „მეფოს" შემქმნელი, რომლის დახმარებითაც გერმანიის ეკონომიკაში შეიარაღების მიზნებისათვის საბიუჯეტო ასიგნობათა გადაჭარბებით დაბანდებული იყო 12 მილიარდი მარკა.

როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული, ბრალდებული შახტი ცდილობდა მისი საქმიანობის სხვადასხვა პერიოდში ხაზგასმით აღენიშნა თავისი თითქოს სულ უფრო გამწვავებული უთანხმოება ჰიტლერულ რეჟიმთან. ნამდვილად კი შახტი ორპირულ თამაშს ეწეოდა, თავს იზღვევდა გათავხედებული ჰიტლერული მთავრობის დანაშაულებრივი პოლიტიკისათვის პასუხისმგებლობისაგან იმ ადამიანებთან ლაქუცით, რომლებიც ნამდვილად ისწრაფვოდნენ ჰიტლერული რეჟიმის დამხობისაკენ, და იმავე დროს ყოველი შემთხვევისათვის ინარჩუნებდა ამ რეჟიმისადმი ლოიალობას.

მხოლოდ 1943 წელს, როდესაც ისეთი გამოცდილი პოლიტიკანისათვის, როგორიც შახტია, ცხადი გახდა ჰიტლერული გერმანიის კრახი, მან კავშირი დაამყარა ჰიტლერული რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილ წრეებთან, მაგრამ, რჩებოდა რა თავისთავის ერთგული და იზღვევდა რა თავს ამ შემთხვევაშიც, ჰიტლერული რეჟიმის დასამხობად პირადად არაფერი რეალური გაუკეთებია და სწორედ ამიტომ ჰიტლერმა შეინახა იგი.

ასეთია ბრალდებულ შახტის სახე, ასეთია მისი როლი საერთო შეთქმულებასა და სამხედრო დანაშაულობაში—ჰიტლერული გერმანიის სამხედრო ეკონომიკის შემქმნელისა და დანაშაულებრივი ჰიტლერული მთავრობის მიერ დაწყებული მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებლის როლი.

ფუნკი

ვალტერ ფუნკი ჰიტლერელი გახდა იმაზე ბევრად უფრო ადრე, სანამ ოფიციალურად შევიდოდა 1931 წელს ნსდაპ-ის წევრად, და ჰიტლერელი დარჩა ბოლომდე. თავისი ეკონომიური ცოდნა, ჟურნალისტის გამოცდილება, გერმანიის მრეწველობის, ვაჭრობისა და ფინანსების ხელმძღვანელებთან ფართო ურთიერთობა მან ჰიტლერელ შეთქმულთა სამსახურში ჩააყენა.

1940 წ. 13 აგვისტოს გაზეთ „დას რაიხში" გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „ვალტერ ფუნკი — ნაციონალ-სოციალისტური აზროვნების პიონერი" აღნიშნული იყო:

„ვალტერ ფუნკი უცვლელი დარჩა იმიტომ, რომ იგი იყო, არის და იქნება ნაციონალ-სოციალისტი, მებრძოლი, რომელიც მთელ თავის შრომას ახმარს ფიურერის იდეალების გამარჯვებას".

თუ როგორი იყო ჰიტლერის „იდეალები", ეს საკმაოდ კარგად არის ცნობილი. ამ „იდეალებს" ფუნკმა თავისი სიცოცხლის თხუთმეტი წელი მოახმარა.

ფუნკი ამტკიცებდა, რომ სს-სთან საერთო არაფერი ჰქონდა, მაგრამ სწორედ ფუნკმა გადააქცია რაიხსბანკის საწყობები ს-ელების მიერ აღმოსავლეთ და სხვა ოკუპირებულ ოლქებში დატაცებულ ფასეულობათა შენახვის ადგილად.

პირადად ფუნკმა ჰიმლერთან მოლაპარაკების შემდეგ განკარგულება გასცა მიეღოთ რაიხსბანკში მრავალი საკონცენტრაციო ბანაკის წამებით დახოცილ მსხვერპლთა ოქროს კბილები, კბილის გვირგვინები, სათვალის ჩარჩოები და სხვა ძვირფასი ნივთები.

ფუნკის მოადგილე იყო სს-ის გრუპენფიურერი ჰოილერი. ფუნკის ხელმძღვანელობით მუშაობდა ოლენდორფი — 90 ათასი კაცის მკვლელი.

ფუნკი განაგრძობდა შახტის ღონისძიებებს და ჰიტლერელთა აგრესიული გეგმების სამსახურში ჩააყენა გერმანიის მთელი ეკონომიკა, ხოლო შემდეგში გერმანიის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების ეკონომიკაც.

ჯერ კიდევ 1939 წლის მაისში ფუნკმა და მისმა მოადგილემ ლანდფრიდმა შეიმუშავეს სამხედრო დაფინანსებისა და გერმანიისა და გერმანელების მიერ დაპყრობილი ჩეხოსლოვაკიის მთელი ეკონომიური რესურსების ომისათვის გამოყენების გეგმები.

1939 წლის 23 ივნისს ფუნკი მონაწილეობს თავდაცვის საიმპერიო საბჭოს სხდომაში, რომელზეც მიღებულ იქნა მთელი სახალხო მეურნეობის სამხედრო რელსებზე გადაყვანის დეტალური გეგმები.

უკვე მაშინ ფუნკმა არათუ იცოდა, რომ მზადდებოდა გერმანიის თავდასხმა პოლონეთზე, არათუ ხელს უწყობდა ამ აგრესიული გეგმების განხორციელებას, არამედ ეკონომიურადაც ამზადებდა ახალ ომებს, ახალი ოლქების დაპყრობას. სწორედ ეს იყო „ფიურერის დიდი პოლიტიკური მიზნები", რომლებზეც რამდენიმე თვის შემდეგ სწერდა ფუნკი თავის სტატიაში „სამეურნეო და საფინანსო მობილიზაცია".

მოგაგონებთ კიდევ ერთ დოკუმენტს. 1939 წლის 25 აგვისტოს ფუნკი სწერდა ჰიტლერს:

„დიდად გამახარა ბ-ნ ფელდმარშალ გერინგის მიერ გადმოცემულმა ცნობამ, რომ ჩემმა ფიურერმა გუშინ საღამოს ძირითადად მოიწონა ჩემს მიერ მომზადებული ღონისძიებანი ომის დაფინანსების, ფასების დაწესების, ხელფასის ტარიფიკაციისა და იძულებითი შეწირვაზე ხელმოწერის ჩატარების დარგში".

სსრ კავშირზე გერმანიის ვერაგულ თავდასხმამდე ბევრად უფრო ადრე, ფუნკმა მონაწილეობა მიიღო საბჭოთა კავშირის სიმდიდრეთა დატაცების გეგმების შემუშავებაში.

ფუნკმა როზენბერგის სამინისტროსთან და ოსტის სამეურნეო შტაბთან, ძარცვა-გლეჯის ამ ცენტრთან, მიავლინა თავისი თანამშრომლები. ფუნკის თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიისა და სხვა ოკუპირებული ქვეყნების გაძარცვაში.

ფუნკი იყო პრეზიდენტი „კონტინენტალ ოილის" კომპანიისა, რომელიც გერმანელებმა მოაწყეს აღმოსავლეთი ოკუპირებული ტერიტორიების ნავთის სიმდიდრეთა, განსაკუთრებით გროზნოს და ბაქოს ნავთის საექსპლოატაციოდ.

ფუნკი სავსებით იზიარებდა სსრ კავშირის წინააღმდეგ ჰიტლერული გერმანიის მძარცველური ომის მიზნებს. 1941 წლის 17 დეკემბერს პრაღაში წარმოთქმულ სიტყვაში იგი ამბობდა, აღმოსავლეთი გერმანიის მომავალი კოლონიური ოლქიაო. ფუნკი მონაწილეობას იღებდა 1942 წ. 6 აგვისტოს გერინგთან მოწვეულ თათბირზე, რომელზეც სახავდნენ სსრ კავშირის ოკუპირებული ტერიტორიების, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საფრანგეთის, ნორვეგიისა და სხვა ქვეყნების ეკონომიური გაძარცვის ყველაზე ეფექტურ ზომებს.

ამ თათბირზე, აგრეთვე „ცენტრალური დაგეგმვის" სამმართველოთა სხდომებზე ფუნკი მონაწილეობას იღებდა ოკუპირებული ოლქების მილიონობით ადამიანთა მონობაში გარეკვის გეგმების შემუშავებაში.

ასეთია ჰიტლერელი შეთქმულის ბრალდებულ ფუნკის — ჯერ კიდევ 1931 წელს ეკონომიურ საკითხებში ჰიტლერის პირადი მრჩევლის, საიმპერიო მინისტრისა და ეკონომიკის საკითხებში გენერალური რწმუნებულის, რაიხსბანკის პრეზიდენტისა და თავდაცვის საიმპერიო საბჭოს წევრის — აქტიური დანაშაულებრივი საქმიანობის ძირითადი ეტაპები — მძარცველური აგრესიული ომების მომზადებისა და განხორციელების პერიოდში, საერთო დანაშაულებრივი გეგმის (შეთქმულების) განხორციელების დარგში.

ფუნკის — მშვიდობის წინააღმდეგ დანაშაულობათა ჩადენაში ფაშისტური შეთქმულების, სამხედრო დანაშაულობათა, ადამიანობის წინააღმდეგ დანაშაულობათა აქტიური მონაწილის — დამნაშავეობა სავსებით დამტკიცებულია, და მან პასუხი უნდა აგოს თავის ბოროტმოქმედებათათვის.

(გაგრძელება იქნება)

*) გაგრძელება. დასაწყისი იხ. „კომუნისტის" №№ 152, 153, 154, 155, 157.

31 ივლისის დილის სხდომა

ნიურნბერგი, 31 ივლისი. (საკდესი). ტრიბუნალის დღევანდელ დილის სხდომაზე გრძელდებოდა ჰიტლერული პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის საქმეზე გამოწვეული მოწმეების დაკითხვა.

ამ ორგანიზაციის დამცველი ადვოკატი სერვაციუსი და მოწმეები ყოველნაირად ცდილობდნენ შეემცირებინათ როლი და მნიშვნელობა ჰიტლერული პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელებისა, რომლებიც, როგორც ცნობილია, უშუალოდ ახორციელებდნენ ჰიტლერული პარტიის „იდეებსა" და ბრძანებებს.

როგორც აღნიშნა ბრალდების ამერიკელმა წარმომადგენელმა გრიფიტ ჯონსმა, რომელმაც მრავალი დოკუმენტი მოიყვანა, კერძოდ სს-ის, რაიხსფიურერ ჰიმლერის, ბორმანისა და ჰიტლერის საიდუმლო ბრძანებები, ჰიტლერული პარტიის ეს ადგილობრივი ხელმძღვანელები — ბლოკლაიტერები და ცელენლაიტერები გულმოდგინედ ეწეოდნენ ჯაშუშურ საქმიანობას, სს-ის ორგანიზაციებს აწვდიდნენ სხვადასხვა ცნობებს მცხოვრებლებზე, მათ განწყობილებაზე, საუბრებზე და ა. შ.

ტერორისტული ორგანიზაციის „მეფე კრუმის" წევრთა გასამართლება

სოფია, 8 აგვისტო. (საკდესი). ფაშისტური სამხედრო ორგანიზაციის „მეფე კრუმის" სასამართლო პროცესზე დაკითხულ იქნა ამ ორგანიზაციის მეთაური — ყოფილი პოდპოლკოვნიკი ანტონ კრისტევი. მან თავი დამნაშავედ სცნო და სასამართლოს უამბო, რომ თავისი ხელით დასწერა ორგანიზაციის წესდება. ორგანიზაციის მიზანი იყო სამამულო ფრონტის ხელისუფლების დამხობა და ფაშისტური წყობილების აღდგენა ბულგარეთში საბოტაჟის, დივერსიებისა და ტერორისტული აქტების გზით, [illegible] სხვა მოღვაწეთა წინააღმდეგ. ანტონ კრისტევი პირადად აგროვებდა ფარულ ორგანიზაციაში ბულგარეთის არმიის რეაქციულად განწყობილ ოფიცრებს. მან მიიმხრო პოდპორუჩიკი ნიკოლოვი, პორუჩიკი კოვაჩევი, პოლკოვნიკი გორანოვი, მაიორი ანგელოვი და სხვები.

სლოვაკი ხალხის მოღალატის ტუკას პროცესი

პრაღა, 7 აგვისტო. (საკდესი). 5 და 6 აგვისტოს სლოვაკიის მთავრობის ყოფილ პრემიერ-მინისტრ ტუკას პროცესზე გრძელდებოდა მოწმეთა დაკითხვა. პირველი დაჰკითხეს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ტისოსა და ტუკას მთავრობაში—მახი, რომელიც ცდილობდა თავის ჩვენებაში გაემართლებინა თავი და დანაშაული სხვებისათვის გადაებრალებინა.

მახის დაკითხვის შემდეგ ბრალმდებელმა სასამართლოს წარუდგინა ტისოსა და ტუკას ხელმოწერილი დოკუმენტი სსრ კავშირისათვის ომის გამოცხადების თაობაზე. ამ დოკუმენტში ნათქვამია: „გერმანიის იმპერიასთან სრული თანხმობით ჩვენი არმიის ნაწილმა საზღვარი გადალახა, რათა შეუერთდეს გერმანიის არმიას". ეს დოკუმენტი ერთხელ კიდევ ამხილებს ტუკას ცრუ მტკიცებას, თითქოს მას არავითარი კავშირი არ ჰქონოდეს სსრ კავშირისათვის ომის გამოცხადებასთან. როცა სასამართლოს თავმჯდომარემ ეს დოკუმენტი უჩვენა ბრალდებულს, ტუკამ განაცხადა: „მე მგონია, ეს ჩემი ხელმოწერაა".

შემდეგ დაკითხულ იქნა მოწმე კორვაში. მან და ტუკამ ერთად იმგზავრეს ბერლინში როგორც ექსპერტებმა გერმანელებთან მოსალაპარაკებლად ეკონომიურ საკითხებზე. კორვაშმა თავის ჩვენებაში განაცხადა: „წინადადება, რომელიც გერმანელებმა გაგვიკეთეს, სლოვაკიის სრულ დამონებას ნიშნავდა, მაგრამ ტუკამ ეს წინადადება მიიღო".

შემდეგ სასამართლომ როგორც მოწმე დაკითხა სლოვაკიის არმიის გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი გენერალი ტატარკო. მოწმემ აჩვენა, რომ როცა სლოვაკია ომში ჩაება გერმანიის მხარეზე, ჯარისკაცებისა და ოფიცრების 90 პროცენტი წინააღმდეგი იყო სსრ კავშირთან ომისა, მაგრამ ტუკამ, როგორც ყოველთვის, არმია მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენა.

სულ დაკითხულ იქნა 20 მოწმე. შემდეგ ბრალდებამ სასამართლოს წარუდგინა მთელი რიგი დოკუმენტები, რომლებიც ცხადჰყოფენ, რომ ტუკა და კომპანია სლოვაკი ხალხის ზურგს უკან ომს ამზადებდნენ სსრ კავშირის წინააღმდეგ გერმანიის მხარეზე.

ინგლისის არმიის ჯარისკაცების მომავალი გასამართლება

ლონდონი, 8 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტოს სინგაპურელი კორესპონდენტი იუწყება, რომ 12 აგვისტოს კლუანგ ჯოხორში (მალაია) შესდგება მე-6 საავიაციო-საპარაშუტო დივიზიის 263 პარაშუტისტის სამხედრო გასამართლება. მათ ბრალად ედებათ პარადში მონაწილეობაზე უარის თქმა.

ჯარისკაცები სასამართლოს წინაშე წარსდგებიან იმისათვის, რომ 14 მაისს უარი სთქვეს პარადში მონაწილეობაზე „კუალა-ლუმპურის მახლობლად მდებარე მათს ბანაკში აუტანელი პირობების" წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

დანაშაულობის ზრდა ლონდონში

ლონდონი, 8 აგვისტო. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს სკოტლანდ იარდის (ინგლისის პოლიციის სამმართველოს) უფროსის ჰაროლდ სკოტის ამ დღეებში გამოქვეყნებული ანგარიშის შინაარსს ლონდონში 1945 წელს დანაშაულობის შესახებ.

სკოტი აღნიშნავს დანაშაულობის მნიშვნელოვან ზრდას — 24,2 პროცენტით წინა წელთან შედარებით და გამოსთქვამს აზრს, რომ ამ მოვლენის ერთ-ერთი მიზეზია ლონდონში 1945 წლის ბოლოს ამერიკის, კანადისა და სხვა მოკავშირეთა ჯარების ყოფნა, რომლებიც სამშობლოში გაგზავნას ელოდებოდნენ და რომელთაც არა ჰქონდათ გარკვეული საქმე. სკოტის სიტყვით სპეციალურ სამწუხარო პრობლემას წარმოადგენდა დეზერტირობა ინგლისისა და სხვა არმიებიდან. დეზერტირები, რომელთაც არა ჰქონდათ სასურსათო ბარათები და რაიმე სხვა დოკუმენტები, ქურდობას ეწეოდნენ, რათა ეარსებნათ.

როგორც სკოტმა აღნიშნა, 1945 წელს რეგისტრირებულ იყო 128.954 სისხლის სამართლის დანაშაულობა, 1944 წელს — 103.804, 1943 წელს — 91.205 და 1942 წელს 93.138 დანაშაულობა. შემდეგ ანგარიშში აღნიშნულია ძარცვათა და მკვლელობათა რაოდენობის ზრდა ლონდონში.

ჰოლანდიელი ქალები პროტესტს აცხადებენ ინდონეზიაში ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ

ჰააგა, 8 აგვისტო. (საკდესი). ჰოლანდიის გაზეთები იუწყებიან, რომ ჰააგას ჩამოვიდა ჰოლანდიის სხვადასხვა რაიონის ქალთა ორგანიზაციების დელეგაცია. დელეგაციამ სამხედრო მინისტრს გადასცა პეტიცია პროტესტით ინდონეზიაში ჰოლანდიის ჯარების გაგზავნის წინააღმდეგ. პეტიციას ხელს აწერს 8 ათასი ქალი.

ფეხბურთის მატჩი „ტორპედოსა" და პოლონეთის ნაკრებ გუნდს შორის

ვარშავა, 8 აგვისტო. (საკდესი). დღეს ვარშავაში პოლონეთის ჯარის სტადიონზე 40 ათასი მაყურებლის თანდასწრებით გაიმართა ფეხბურთის მატჩი საბჭოთა გუნდ „ტორპედოსა" და პოლონეთის ნაკრებ გუნდს შორის, რომელშიც შედიან პოლონეთის ხუთი უძლიერესი საფეხბურთო კლუბის მოთამაშენი. მატჩის დამსწრეთა შორის იყვნენ პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ოსუბკა-მორავსკი, მარშალი როლა-ჟიმერსკი და პოლონეთის მთავრობის სხვა წევრები და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 1:1. ხვალ „ტორპედოს" გუნდი ლოძს გაემგზავრება.

სემინარი

10 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პარტკაბინეტში ჩატარდება აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი თემაზე: „ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველი ტომი".

სემინარს ჩაატარებს ამხ. ნოლიანისი.

10 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტში ჩატარდება აგიტკოლექტივების ხელმძღვანელთა სემინარი თემაზე: „ამხანაგ სტალინის თხზულებათა პირველი ტომი".

სემინარს ქართულ ენაზე უხელმძღვანელებს ამხ. ბიწაძე, რუსულ ენაზე — ამხ. ჟუნჟეროკოვი.

კეცხოველის სახელობის საქალაქო პარტკაბინეტში

10 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელთათვის ჩატარდება ამხ. ნოლიანისის ინდივიდუალური კონსულტაცია.

გასწორება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ ვ. მ. ბაქრაძის სიტყვის (იხ. გაზეთ „კომუნისტის" ა. წ. 8 აგვისტოს № 158, გვ. მე-2) მესამე სვეტის მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „მეოთხე ხუთწლედის პერიოდში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის კაპიტალური დაბანდებათა მთელი თანხა 1945 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებში შეადგენს 4.120 მილიონ მანეთს, ამასთან კაპიტალური დაბანდებანი რესპუბლიკური ქვემდებარების მეურნეობაში შეადგენს 591 მილიონ მანეთს".

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

თბილისის ნავთობის ტექნიკუმი აცხადებს I კურსზე მოსწავლეთა მიღებას 1946-47 სასწავლო წლისათვის. ტექნიკუმი ამზადებს ტექნიკოსებს: 1. გეოლოგიის, 2. ნავთობის ჭაბურღილების და 3. ნავთობის ჭაბურღილების ექსპლოატაციის დარგში. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 14-30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლის 7, 8 და 9 კლასები.

განცხადების მიღება იწარმოებს 15 აგვისტომდე, გამოცდები 15-დან 25 აგვისტომდე.

განცხადებას დართული უნდა ჰქონდეს: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. დაბადების მოწმობა (დედანი), 3. ავტობიოგრაფია, 4. სამი ფოტოსურათი, 5. ცნობა სამხედრო ვალდებულებასთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულთათვის) 6. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ.

ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლენი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით 1-ლ კურსზე 225 მან. და მე-2 კურსზე — 255 მან. რაოდენობით თვეში, საერთო საცხოვრებლით, დახურული სასადილოთი, მომარაგებით ტრანსპორტის მუშების თანაბრად და წითელი არმიის რიგებში გაწვევის შეღავათებით. ფრიადოსნებს მიეცემათ დამატებით სტიპენდია 25% რაოდენობით თვეში.

განცხადება მიიღება დირექტორის სახელზე. მისამართი: თბილისი, შიო ჩიტაძის ქუჩა № 9, ნავთობის ტექნიკუმი.

ყოველგვარი ცნობების გაცემა იწარმოებს ტექნიკუმის კანცელარიაში დილის 8 საათიდან საღამოს 4 საათამდე. ტელეფონი № 3-12-28.

დირექცია

მოქალაქე ლევან დიმიტრის-ძე ჯავახაძემ, მცხოვრებმა ყიფიანის ჩიხი № 4, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე თამარ ივანეს-ასულ ჯაფარიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ბერიას რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე ივანე ზაქარიას-ძე ქიტიაშვილმა, მცხოვრებმა გუთნის ქ. № 12, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ მოქალაქე ქეთევან ისაკის-ასულ ქიტიაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის II უბნის სახალხო სასამართლო.

ამხანაგები იუწყებიან ვახტანგ ხუნდაძის დის ლილის გარდაცვალებას. დაკრძალვა 11/VIII სოფელ საჯავახოში (ჩოხატაურის რაიონი).

თბილისის სახელმწიფო ფარმაცევტული ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა და მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივი იუწყება ლეო მიხეილის-ძე გაბუნიას გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება თეკლე კონსტანტინეს-ასულ ცხებუას გარდაცვალებას. გამოსვენება 10/VIII, 6 ს. ძერჟინსკის, 1.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხაზდივნის—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და ხაზოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო სამეურნეო და სამრეწველო ტრანსპორტი—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ს. ჭ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000.

უე 00188